შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ISTANBUL BAZAAR“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 5

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 7
4. ძირითადი საშუალებები 9
5. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 10
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 10
8. ამონაგები 11
9. თვითღირებულება 11
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 11
11. სააგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 11
12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 11

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	253 842	250 394
		253 842	**250 394**
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	3 757	6 278
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	998 323	1 028 603
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		1 274 701	1 241 261
		2 276 781	**2 276 142**
მთლიანი აქტივები		**2 530 623**	**2 526 536**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		135 946	219 611
		136 146	**219 811**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	2 384 735	2 296 983
საგადასახადო ვალდებულება		0	0
სხვა ვალდებულებები		9 742	9 742
		2 394 477	**2 306 725**
მთლიანი ვალდებულებები		**2 394 477**	**2 306 725**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**2 530 623**	**2 526 536**

მამუკა ქარსოლოთელი
დირექტორი

სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	8	149 354	838 424
თვითღირებულება	9	-112 015	-103 222
საერთო მოგება		**37 339**	**735 202**
საიჯარო ქირა		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	-121 004	136 432
საოპერაციო მოგება		**-83 665**	**- 106 112**
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		**-83 665**	**-598 770**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**-83 665**	**-598 770**

მენეჯმენტის სახელით:
დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	**200**	**219 611**	**219 812**
წმინდა მოგება	-	**- 83 665**	**- 83 665**
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
სხვა ცვლილება	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	**200**	**135 946**	**136 146**

მეჰმეთ ბარსლიოლუ
დირექტორი

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12 2023	31.12 2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	176 236	162 682
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-90 544	-95 549
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-85 694	-70 956
გადახდილი გადასახადები და მოსაკრებელები	-2 511	-5 319
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი ფულადი სახსრები სხვადასხვა ხარჯისათვის	-10	-15
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**-2 521**	**-9 155**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	-
მიღებული სესხებიდან გადახილი ძირი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა	**-2 521**	**-9 155**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	**6 278**	**15 433**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	**3 757**	**6 278**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ISTANBUL BAZAAR" (შემდგომში „საწარმო") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისგმებლობის საზოგადოებას, რომელიც, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგანტოს მიერ 24/03/2010 წელს, ს/კ - 445384646.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, წყალტუბოს რაიონი სოფელი ქვიტირი, საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი მეჰმეთ ქარსიოღლუ (61691001063).

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. საწარმომ მოამზადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2023 წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი", რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
გაცემული სესხები - ფინანსური აქტივი;
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება;
მიღებული სესხები - ფინანსური ვალდებულება;

3.1.1 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

(ა) ყველა ნილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და

(ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) ნინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.2 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს,როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

3.5 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდგები წლიური პროცენტები

- შენობა-ნაგებობები - 5%
- მანქანა-დანადგარები- 20%
- ოფისის აღჭურვილობა - 20%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%

3.7 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.8 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

3.9 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდ-ში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.10 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.11 იჯარა

ოპერაციული იჯარა.როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით

ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
შენობა	193 259
მანქანა-დანადგარები	41 441
ოფისის აღჭურვილობა	6 077
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2 911
სატრანსპორტო საშუალებები	10 154
სულ	**253 842**

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია კლებადი ნაშთის მეთოდით. აქტივიები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

სანარმოს სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2023
ნაღდი ფული სალაროში	3 757
ფული საბანკო ანგარიშებზე	-
სულ	**3 757**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
სავაჭრო მოთხოვნები	902 519
გადახდილი ავანსები	95 804
სულ	**998 323**

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2 024 407
გადასახდელი პროცენტები	360 328
სულ	**2 384 735**

8. ამონაგები

საწარმოს ამონაგებში აღიარებული აქვს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალი. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ამონაგებმა საქონლის რეალიზაციიდან შეადგინა 149 354 ლარი

9. თვითღირებულება

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით. თვითღირებულება მოიცავს - 112 015 ლარს.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
შრომის ანაზღაურება	(104 362)
კომუნალური ხარჯი	(13 553)
სხვა საერთო ხარჯი	(3 089)
სულ	**(121 004)**

11.სააგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლების გავლენას მოახდენდა აღნიშნულ ანგარიშგებაში მითითებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

12.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 26 სექტემბერის.